

ოქროს მედლები — თბილისელს

დასასრულად

ლები ტრიბუნაზე მოკალათდნენ და საქართველო — ყაზახეთის მატჩში ალმათელ თანატოლებს გულშემატკივრობდნენ. რაც შეეხება თვით დასკვნით მატჩს, ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, რომ თორიდე კვირის წინ „ნორჩი დინამოელები“ ყაზახ თანატოლებს „ლელოს“ პრიზის გათამაშების ფინალში შეხვდნენ. გემასსვრებდა. მაშინ ტანბალაი დენის პეტენოვი (210) „მეურვეს“ ვერ გაუმკლავდა და იგი პირველსავე ტაიპში სათადარიგო სკამზე დასვა მწვერთვლმა. ამჯერად კორძაძე-პეტენიოვი ერთადერთი მხოლოდ პარტიკლინიში ვიხილეთ. დიახ, ალმათელ მეორე ტაიპის მე-5 წუთზე ისევე სათადარიგო მოთამაშეთა გვერდით აღმოჩნდა, კორძაძემ კი გუნდს 21 ქულა შესძინა, რითაც „ლეოს“ ლოვანი წვლილი შეიტანა კოლექტივის საერთო წარმატებაში. დღეს „ნორჩი დინამოელი“ ერთსულვლად მეტროლო კოლექტივა და ამიტომ ძნელია რომელიმე მოთამაშის გამოყოფა. მაგრამ ტურნირის მთელი სიმძიმე მაინც სსრ კავშირის ნაკრების წევრობის კანდიდატებში ი. ბაქრაძემ, ლ. ვაშაძემ და გ. კორძაძემ გადარტყნეს, რომელთაც კარგად ეზმარებოდნენ ცისკარაშვილი, გრძელიშვილი, გვარამია და სხვები.



შეხვედრის პირველმა ნახევარმა შედარებით თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. ქულით წინ სტუმრები იყვნენ — 33:32. შესვენების შემდეგ მასპინძლებს დაწინაურება არ გასჭირვებიათ. 3-ქულიანი სროლებით თვე გვარამიამ ისახელა და საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ — 78:70. „ნორჩი დინამოელი“ (მწვერთელი გ. ხუზაშვილი, სკოლის დირექტორი გ. ბიჭიაშვილი) სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილზე ლენინგრადელი ჭაბუკები იდნენ, მესამეზე — ლიტველები. **წ. უნგინაძე.**

სურათზე: სსრ კავშირის 1987 წლის ჩემპიონი თბილისის „ნორჩი დინამოელი“.


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

სადამდე მიყვარს უსულგულობას

ახეთ ფაქტზე შეუძლებელია აღმოთქმის გარეშე დაწერო, მით უფრო, როცა წამხდარი საქმე ჩვენი მოზარდი თაობის ინტერესებისადმი გულგრილ დამოკიდებულებასთან და ფუჭად გადაყრილ სახელმწიფო სახსრებთან არის დაკავშირებული.

ალმათ ვახსოვს, რა მოუთმენლად მოელოდნენ ჩვენი ნორჩი კალათბურთელები დიდუბეში ახალი ოთხდარბაზიანი სპორტული კომპლექსის მიღებას. ეს საკალათბურთო ცენტრი (ამ სიტყვებში გადაკარბებული არაფერია) ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კალათბურთის 58-ე ექსპერიმენტულ სკოლას გადასცეს. ეს იყო გასული წლის სექტემბერში. სამწუხაროდ, მაშინვე იჩინა თავი მშენებელთა უგულვობის შედეგებმა. ბევრი რამ თავიდან გასაკეთებელი გახდა. იატაკი, მაგალითად, ხელახლა დაავეს.

მაგრამ, დახეთ უხელობასი ვაწვიმდა თუ არა, წყალმა შენობაში ნი-აღვრად იწყო დენა; ჩამოინგრა ბათქაში, ახლად დაგებული იატაკი ისევ შესაკეთებელი გახდა. გუბეები ჩაღდა იქაც, სადაც ჯერ იატაკი არ შეუცვლიათ.



ეს ფოტოსურათები გუშინ გადავიღეთ. ბავშვებს მეცადინეობები არ უცდებთ, ავად თუ კარგად სხვა დარბაზებს იყენებენ, მაგრამ განახლებულ დარბაზს მაინც მოუთმენლად მოელოდნენ. მოელოდნენ, მაგრამ ბავშვები... ჯერ იატაკს დასხვადვენ, მერე თვალი ჭერისკენ გაურბით და დანადგოანებულნი ტოვებენ იქაურობას.

რას გვიპასუხებს აგრომშენის მე-15 ტრესტი: 27-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონის ხელმძღვანელობამ (უფროსი ბ. არაბიძე) უნდა აგოს თუ არა პასუხი თავისი ნახელავისა და სახელმწიფო სახსრების უყარათო ხარჯვისთვის?

P.S. გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ანალიტიკური სურათს შეესწრო სპორტსახლის სპორტნაგებობაში სამართველოს მშენებლობის მანეჟში. აქაც რამდენიმე ადგილზე ჩამოიხსნა წყალი. გარდა ამისა, მანეჟში ძალიან ცივა. არადა, სხვა რომ არაფერი, წორედ აქ მეცადინეობს ის 500 პატარა ბავშვი, რომლებიც საგანგებოდ შეარჩიეს და ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ სპეციალურ სკოლაში ჩარიცხეს.

...და სპეციალური პრიზი

მინვოდში ჩატარდა ჭაბუკ მოკრივეთა (1973-1974 წლებში დაბადებულნი) საკავშირო ტურნირი მდინავ-გამომცდელ ვიქტორ ლიზარის სახელობის პრიზზე. ტურნირში მონაწილეობა მიიღო ერეგნის, ორჯონიკიძის, სტავროპოლის, ნალჩიკის, პიტიგორსკის, ნევირომისკის, ყელეზნოვოდსკის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების 165 სპორტსმენმა.

ტურნირზე ქუთაისის სპორტულ ღირსებას იცავდა სპორტსახოგადობა „ლოკომოტივის“ ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპორტული სკოლის (დირექტორი კუკური შავგულიძე) ნაკრები გუნდი.

56 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში თავი გამოიჩინა 35-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ჯიმშერ ჩახუნაშვილმა. მან ყველა ბრძოლა მოიგო და დამაჯერებლად დაიკავა I ადგილი. მასვე გადაეცა ყველაზე

ტექნიკური მოკრივისთვის დაწესებული პრიზი.

II ადგილები დაიკავეს ნიკოლოზ გიგანმა (38 კგ; მე-11 საშუალო სკოლა) და გიზო მხეიძემ (36 კგ; მე-11 საშუალო სკოლა). III ადგილზე გავიდა ალექსანდრე გოგიბერიძე (36 კგ; მე-12 საშუალო სკოლა).

კარგი ტექნიკური მომზადებით სპეციალისტების ყურადღება მიიპყრეს შოთა გოფოძემ (მე-14 საშუალო სკოლა), ლევან ძიმუაშვილმა (მე-2 საშუალო სკოლა) და კარლო მუქბანიანმა (26-ე საშუალო სკოლა).

ახალგაზრდა მოკრივეები შევიბრებისთვის მოამზადეს გოჩა გრიგალაშვილმა, ვახტანგ სულაქაძემ, თემურ შალამბერიძემ და ხუტულა ვახტანგაძემ.

„ლელოს“ სპ. კორ.


დათვალიერება-კონსურსი

გორის სახალხო განათლების განყოფილების, კომპოზიტორისა და ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტების თაოსნობით ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის დათვალიერება-კონსურსი. კონსურსის მიზანი იყო ქალაქში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გამოცოცხლება, ახალი სპორტული ბაზების კეთილმოწყობა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა. წამახალისებელი ქულები ეძლეოდათ იმ სკოლებს, რომელთა წარმომადგენლებს წარმატება აქვთ მოპოვებული როგორც საქალაქო, ისე რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში.

ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით საკონსურსო კომისიამ პირველი ადგილი მიაკუთვნა პირველ საშუალო სკოლას (დირექტორი ნადედა ტატულაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ანზორ ბუხრუკიძე), მეორე ადგილზე მევიდე საშუალო სკოლა გავიდა (დირექტორი ვლადიმერ ზელაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებლები ელდარ კაპანაძე, მერაბ მუზაშვილი), მესამეზე — შეეჭვეს საშუალო სკოლა (დირექტორი ცილა მეხუზა, ფიზკულტურის მასწავლებლები იზოლდა მემარნიშვილი, ვენერა გუძივა).

გამარჯვებულ სკოლებს გადაეცათ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

ილია თევდორაშვილი, „ლელოს“ კორ.



ახე გამოიყურებოდა გუშინ კალათბურთის დარბაზები.



ქერიდან ჩამონგრეული ბათქაში.



ჩვენი ქვეყნის ქალაქებში დამთავრდა ჭაბუკ წყალბურთელთა საკავშირო პირველობის წინასწარი თამაშები. თბილისში, ვაკის საცურაო აუზში, მასპინძლებთან ერთად გამოდიოდნენ მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის, ტაშკენტისა და ფრუნჯის წარმომადგენლები. შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს კიეველმა, თბილისელმა, მოსკოველმა და ლენინგრადელმა წყალბურთელებმა. კიეველებმა თბილისში ყველა შეხვედრა მოიგეს და 10 ქულა მოაგროვეს. მათ ორი ქულით ჩამორჩა თბილისის განათლების სამმართველოს გუნდი.

სარბიელზე არიან თბილისელი და კიეველი წყალბურთელები. ავთანდილ გურახაშვილის ფოტო.

ვუბრუნდებით დაბაჟდილს

„ღმრსნაშკად რომ იქნეს“

ამ სათაურით ჩვენი ვაჭეთის 1986 წლის 25 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის პასუხად საქართველოს სპორტსახკომიდან გვაცნობეს: „წერილში მოყვანილი ფაქტები, რომ ფრენბურთში რესპუბლიკის წამყვანი გუნდები საკავშირო შეჯიბრებებში ხელსაღ გამოდიან, ხოლო რესპუბლიკის პირველობებზე უხეში დარღვევები ხდება, სინამდვილეს შეეფერება“.

საქართველოს სპორტსახკომის გადაწყვეტილებით რესპუბლიკური შეჯიბრებაზე დაშვებული უხეში დარღვევებისთვის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებს ს. სტეფანიანს და ვ. გელაძეს თითო წლით აკრძალათ საკავშირო და პაერთაშორისო შეჯიბრებებში მსაჯობა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯებს ვ. სოფრომადეს და ა. ხრიკულავს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური და აღარ დაიშვებიან მთავარ მსაჯებად.

საქართველოს წამყვანი გუნდების საკავშირო შეჯიბრებებში ხელსაღ გამოსვლის მიზეზებს სპორტსახკომის კომლეგა განიხილავს სსრ კავშირის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ.

ჯანსუღ ბაბრატონი, საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე.

